საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გერასიმე



alt text

გერასიმე, XIV ს. მხატვარი. ხელმძღვანელობდა უბისის ეკლესიის მოხატვას.

აღნიშნული ძეგლის კედლის მხატვრობაში ფერწერის ორი მანერა შეიმჩნევა: ერთი, რ-იც ეკლესიის მხატვრობაში „საიდუმლო სერობის“ კომპოზიციისათვის არის დამახასიათებელი. ამ სცენის ქვემოთ მოთავსებული წარწერის მიხედვით „საიდუმლო სერობის“ ფერწერული სტილი გ-მ შექმნა. მეორე მანერა, როგორც ჩანს, გ-ს მოწაფისეულია. გ-ს მიერ შესრულებული ფრესკები XIV ს. ქართ. მხატვრობის უმნიშვნელოვანესი ძეგლთაგანია. ადრინდ. მხატვრობის მონუმენტურობას, სიდინჯესა და დარბაისლობას აქ დინამიკურობა, დაგრძელებული ფიგურები, სამოსის ნაკეცთა რთული, ტეხილი ხაზები და დაქუცმაცებული ხუროთმოძღვრული ფონი ცვლის.

გ-ს ნახატი მეტყველია. მის ენერგიულ ფერწერას ახასიათებს ფართო, თამამად დადებული მონასმები; მოციქულთა, ანგელოზთა და წმინდანთა სახეები გამოირჩევა ძლიერი ექსპრესიით. თმა და წვერი ოსტატურად არის დამუშავებული. „საიდუმლო სერობის“ კომპოზიცია გვიჩვენებს, რომ მხატვარი არ ერიდებოდა რეალური სინამდვილის ასახვას – გაშლილ სუფრაზე აწყვია მწვანილი, ქართ. პური. გ. თავისი დროის ერთ-ერთი შესანიშნავი მხატვარია.

ვ. ბერიძე